

საქართველოს კანონი

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს კანონი ადგენს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ გაწეული მომსახურების ვადებსა და საფასურს, განსაზღვრავს საფასურის ოდენობას, მისი გადახდისა და დაბრუნების წესს, ასევე საფასურის გადახდისგან განთავისუფლების პირობებს.

მუხლი 2. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურება

1. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურება არის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“, „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის საფასური დადგენილია ამ კანონით.

2. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტო მომსახურებას ახორციელებს დაჩქარებული წესით.

მუხლი 3. საფასური და მისი გადახდის წესი

1. საფასური არის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2. საფასური გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი მომსახურების გაწევამდე უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. საფასური ჩაირიცხება სააგენტოს ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მუხლი 4. კანონით გაუთვალისწინებელი მომსახურების საფასური

სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით პირდაპირ გაუთვალისწინებელი საქმიანობა, რომლის საფასური განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 ლარით;

გ) განაცხადის შეტანიდან მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით;

დ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 90 ლარით;

ე) განაცხადის შეტანის დღესვე გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 105 ლარით.

4. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით 32 გვერდიანი პასპორტის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 105 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 105 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით.

5. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეზე წარმომადგენლის მეშვეობით ბიომეტრიული პასპორტის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 170 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 170 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით;

6. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის მოწმობების:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-10 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) განაცხადის შეტანიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 5 ლარით;

გ) განაცხადის შეტანიდან მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 10 ლარით;

დ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 25 ლარით;

ე) განაცხადის შეტანის დღესვე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით.

7. ქორწინების:

ა) სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, სპეციალური სარიტუალო მომსახურების გარეშე რეგისტრაციისთვის მოწმობის გაცემის ჩათვლით, – მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება;

ბ) სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში სპეციალური რიტუალით რეგისტრაციისთვის მოწმობის გაცემის ჩათვლით მომსახურების საფასური განისაზღვრება – 50 ლარით;

გ) ქორწინების სახლში სპეციალური რიტუალით რეგისტრაციისათვის მოწმობის გაცემის ჩათვლით მომსახურების საფასური განისაზღვრება:

გ.ა) შაბათს და კვირას – 150 ლარი;

გ.ბ) ნებისმიერ დღეს გარდა შაბათ-კვირისა – 90 ლარი;

დ) სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის შენობის გარეთ რეგისტრაციისათვის მოწმობის გაცემის ჩათვლით მომსახურების საფასური განისაზღვრება 170 ლარით.

8. კანონით დადგენილ ვადაში განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 45 ლარით.

9. სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციისა და შესაბამისი მოწმობის:

ა) განაცხადის შეტანიდან 45-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანიდან 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 100 ლარით;

გ) განაცხადის შეტანიდან მე-15 კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 170 ლარით;

დ) განაცხადის შეტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 300 ლარით.

10. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების, დამატებისა და ცვლილების შესახებ:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-15 კალენდარულ დღეს დასკვნის მომზადებისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 10 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანიდან 5 კალენდარული დღის ვადაში დასკვნის მომზადებისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 10 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით.

11. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობის ან ცნობის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 2 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანიდან მე-3 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 2 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 5 ლარით;

გ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 2 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 15 ლარით;

დ) განაცხადის შეტანის დღესვე გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 2 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 25 ლარით.

12. მოქალაქის განცხადების საფუძველზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობის ან ცნობის 10 კალენდარული დღის ვადაში სხვა ტერიტორიული სამსახურიდან გამოთხოვისთვის, თუ შესაბამისი აქტის ჩანაწერი არ ინახება მოწმობის ან ცნობის გამცემ სამსახურში, მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით.

13. საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დაკენის:

ა) განცხადების შეტანიდან მე-80 კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-60 კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური - 100 ლარით.

14. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის საკითხის განხილვისა და შესაბამისი დაკენის:

ა) განცხადების შეტანიდან 30-ე კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-20 კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური - 100 ლარით.

გ) განცხადების შეტანიდან მე-10 კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური - 200 ლარით.

15. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის:

ა) განცხადების შეტანიდან 30-ე კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-20 კალენდარულ დღეს მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 100 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით.

16. მოქალაქეობის დადგენის შესახებ დასკვნის:

ა) განცხადების შეტანიდან მე-15 კალენდარულ დღეს გაცემისათვის საფასური არ გადაიხდებინება.

ბ) განცხადების შეტანიდან მე-5 კალენდარულ დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 30 ლარით;

გ) განცხადების შეტანიდან მე-3 კალენდარულ დღეს გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით;

დ) განცხადების შეტანის დღესვე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 75 ლარით.

17. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადების საფასური განისაზღვრება 200 ლარით.

18. ემიგრაციის ნებართვის:

ა) განცხადების შეტანიდან 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 60 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-20 კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 60 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 100 ლარით.

19. დროებითი ბინადრობის ნებართვის:

ა) განცხადების შეტანიდან 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 180 ლარით.

ბ) განცხადების შეტანიდან მე-20 კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 180 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 120 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 180 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 200 ლარით.

20. საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის:

ა) განცხადების შეტანიდან 30-ე კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 180 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-20 კალენდარულ დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 180 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 120 ლარით.

21. უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოდან გასვლის ვადდებულების გადავადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 50 ლარით.

22. დოკუმენტის აპოსტილით:

ა) განცხადების შეტანიდან მე-10 კალენდარულ დღეს დამოწმებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-5 კალენდარულ დღეს დამოწმებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 ლარით;

გ) განცხადების შეტანიდან მე-2 კალენდარულ დღეს დამოწმებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით;

დ) განცხადების შეტანის დღესვე დამოწმებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 80 ლარით.

23. დოკუმენტის:

ა) განცხადების შეტანიდან მე-10 კალენდარულ დღეს ლეგალიზაციისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით;

ბ) განცხადების შეტანიდან მე-5 კალენდარულ დღეს ლეგალიზაციისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 ლარით;

გ) განცხადების შეტანიდან მე-2 კალენდარულ დღეს ლეგალიზაციისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 50 ლარით;

დ) განცხადების შეტანის დღესვე ლეგალიზაციისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 80 ლარით.

24. ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული დოკუმენტის ერთი გვერდის (ერთ გვერდამდე) უცხო ენაზე თარგმნისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 20 ლარით.

25. სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო განყოფილების მიერ საინფორმაციო ბარათის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება.

ბ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 2 ლარით;

გ) განაცხადის შეტანისთანავე გაცემისათვის დაჩქარებული მომსახურების საფასური განისაზღვრება 5 ლარით.

26. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის:

ა) განაცხადის შეტანიდან მე-5 სამუშაო დღეს გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 30 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლისთანავე გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 30 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 20 ლარით;

ბ) განაცხადის შეტანის დღესვე გაცემისათვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 30 ლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 40 ლარით.

27. სააგენტოში ფოტოსურათის გადაღებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 3 ლარით.

მუხლი 6. მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებზე მომსახურებისთვის საზღვარგარეთ გადასახდელი საფასურის განაკვეთები და მომსახურების ვადები

1. საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხის განხილვისა და განცხადების შეტანიდან:

ა) მე-80 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 70 დოლარით;

ბ) მე-20 კალენდარულ დღეს შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 40 დოლარით, ხოლო დაჩქარებული მომსახურების საფასური – 70 დოლარით.

7. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის მომზადებისთვის მომსახურების საფასური განისაზღვრება 140 დოლარით.

მუხლი 7. გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი

1. სააგენტოს მომსახურებისათვის გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ განცხადების რეგისტრაციამდე უარს აცხადებს მომსახურებაზე;

ბ) დაინტერესებული პირის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დაინტერესებული პირის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო და მიღებულია კანონიერი გადაწყვეტილება უარის შესახებ.

3. თუ დაინტერესებული პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ მიიღებს მომსახურებას მის მიერ გადახდილი საფასურის შესაბამისად მოთხოვნილ ვადაში და სურვილი აქვს ისარგებლოს სხვა ვადით, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ნაკლებ საფასურს, მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ საფასურს შორის. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას მომსახურებაზე და მოითხოვოს გადახდილი საფასურის სრულად დაბრუნება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც შესაბამის ვადაში მომსახურების გაწევა ვერ განხორციელდა სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

5. თუ დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ამ კანონის მე-5 მუხლის 1 – მე-12, 24-ე და 26-ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, მის სახელზე შედგენილ ან მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის გამო, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს მომსახურება უკვე გადახდილი საფასურის საფუძველზე.

6. თუ დაინტერესებულ პირს უარი ეთქვა ამ კანონის მე-5 მუხლის 22-ე და 23-ე პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლეგალიზაციისათვის ან აპოსტილით დასამოწმებლად

წარდგენილი იყო ყალბი დოკუმენტი.

7. თუ მომსახურების გაწევისას სააგენტოს მიერ დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ დოკუმენტები შედგენილი ანდა გაცემული იქნა არასწორი მონაცემებით, დაინტერესებულ პირს ხელახლა უნდა გაეწიოს მომსახურება დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირი უარს განაცხადებს მომსახურების ხელახლა მიღებაზე გადახდილი საფასური უნდა დაბრუნდეს.

8. თუ საფასური გადახდილია ამ კანონით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს უბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და ამ კანონით დადგენილ განაკვეთს შორის.

9. ამ მუხლით დადგენილი წესით საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან სამი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 8. საფასურის გადახდისგან განთავისუფლება

1. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-8 – მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისგან თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით გადაადგილებულად – დევნილად ცნობილი პირი.

2. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ რეგისტრაციისას შეცდომა დაუშვა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ.

3. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის გაცემისთვის დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ შესაბამისი ცნობა აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში წარსადგენად, პენსიისა და დახმარების დანიშნისათვის ან გადაანგარიშებისათვის.

4. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-17 პუნქტითა და მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, თუ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია.

5. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინგალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

გ) ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები – 50 პროცენტით;

დ) პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები – 50 პროცენტით;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა თუ მოქალაქეობის მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია;

ვ) 18 წლამდე ასაკის პირები – 50 პროცენტით.

6. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. ამ კანონით დადგენილი საფასური არ გადაიხდევინება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით/შეთანხმებით, გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 9. გარდამავალი დებულება

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში 2010 წლის 1 იანვრიდან შეტანილ განცხადებებზე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 2005 წლის 28 დეკემბერის კანონი „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი